

ზურაბ კიკნაძე

asiriologia qarTul universitetSi prioritetuli unda iyos

1921 წელმა, სხვა უბედურებებთან ერთად, რაც მან ქვეყანას მოუტანა, თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტისაც მიაყენა აუნაზდაურებელი ინტელექტუალური ზარალი. რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორებ დაპყრობაში ქვეყანა თანდათან მოწყვიტა დასავლეთ ევროპას, ქართული უნივერსიტეტის იძულებით მოწყდა სწავლა-განათლებისა და სამეცნიერო ცენტრებს, რომელთა ყაიდაზე იგი დაეფუძნა დამოუკიდებლობის სანმოკლე პერიოდში. ეს კატასტროფა რომ არა, ჩვენს უნივერსიტეტში ბევრი დარგი მეცნიერებისა სრულიად სხვაგვარ, ბუნებრივი განვითარების გზას დაადგებოდა. შეწყდა ორიგინალური ფილოსოფიური კვლევა-ძიება, რომელიც ევროპიდან დაბრუნებულ ქართველ ფილოსოფოსთა ხელში სამომავლოდ დიდ იმდებარებს იძლეოდა, "აზროვნება სხვა ვარსკვლავზე", როგორც შალვა ნუცუბიძის, მაშინ ჭაბუკი ფილოსოფოსის ნააზრევი შეაფასეს გერმანიაში.

ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, დაზარალებული დარგი ასირიოლოგია (ლურსმული დამწერლობის ხალხთა კულტურის შემსწავლელი მეცნიერება) აღმოჩნდა. უნივერსიტეტის რბევის ხანაში დაიხურა ძველი აღმოსავლეთის კათედრა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა იგანე ჯავახიშვილის თაოსნობით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დაუბრკოლებელი განვითარების შემთხვევაში საქართველო ასირიოლოგიის ერთ-ერთი ცენტრი იქნებოდა. საამისოდ ყველა პირობა იყო იმსანად ჩვენში – ქვეყნის მდებარეობა, ქართველი ხალხის წინაპართა კონტაქტები ლურსმული ცივილიზაციის ხალხებთან (შუმერი, ასირია, ურარტუ, ხეთები, ხურიტები...), ევროპელ სწავლულთა ინტერესი (რასაც აძლიერებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება) ჩვენი ძველი მიწისა (კერძოდ, არქეოლოგიური თვალსაზრისით) და უნიკალური ენისადმი და სხვა. მარტო ის რად ლირს, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ წერეთელი, რომელიც ევროპის უნივერსიტეტებში იყო დაუფლებული ასირიოლოგიას, 1924 წელს კონსტანტინოპოლიში აქვეყნებს გილგამეშის ეპოსის ქართულ თარგმანს, იმსანად კი ძირითადად ევროპულ ენებზე მისი თითო-ოროლა თარგმანი არსებობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაშრომი შესრულდა ახლადფეხადგმული კათედრის ეგიდის ქვეშ იმ იმედით, რომ ეს კათედრა ახლო მომავალში, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ჩართვით, ძალას მისცემდა და თავის არამცირედ წვლილს შეიტანდა ასირიოლოგიის განვითარებაში. მაგრამ ეს მუშაობა უნივერსიტეტში კარგა ხნით ჩაკვდა სხვა ეროვნულ წამოწყებებთან ერთად.

ამგვარი არაპრაგმატული, მაგრამ კულტურულ-შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დარგის არსებობა მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ უნივერსიტეტში იყო შესაძლებელი, ისეთ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც ამართლებს უნივერსიტეტის ფუნქციას, როგორც ფუნდამენტურ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კერისა. იმ ხანებში კი (დღემდე გვწვდება ამისი კუდი) უნივერსიტეტი დამორჩილებული იყო სახელმწიფოს საწარმო-სამეცნიერო გეგმებს და ვალდებულებებს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი არასახარბიერო პირობებისა, ინტერესი ძველი აღმოსავლეთის კულტურის, ენისა და ისტორიის მიმართ, გასაგები მიზეზების გამო, არ შენელებულა. თუმცა კი იგრძნობოდა და ასეა დღემდე, რომ ამ დარგის განვითარებისთვის ნიადაგი არ იყო მყარი. დღესდღობით, მეცნიერული კვლევა-ძიება ამ დარგში მოწყვეტილია სასწავლო პროცესს და აკადემიის, შეიძლება ითქვას, "მონასტრულ" პირობებში გრძელდება. მართალია, ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში გარკვეული წარმატებებია მიღწეული, მაგრამ ეს ცენტრები არ არის საიმედოდ გარანტირებული სამეცნიერო კადრების მომამზადებებლი მუდმივი წყაროთი.

50-იან წლებში იყო ცდა ძველი აღმოსავლეთის განყოფილების აღდგენისა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ჯგუფმა, რომელშიც რვა სტუდენტი ირიცხებოდა (მათ შორის იყო გურამ რჩეულიშვილი), ორი წლის შემდეგ შეწყვიტა არსებობა, შეეწირა რა იმ ხანებში ჩვენთვის გაუგებარ რეორგანიზაციას საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. თუმცა რა უნდა ყოფილიყო გაუგებარი: ქვეყანას, რომელიც ჩაბმული იყო სახალხო მეურნეობის გეგმათა შესრულება-გადაჭარბების ფერხულში, არ ეცალა იმ ცივილიზაციისთვის, რომლის წიაღშიც ეძებენ სწავლულნი ჩვენი აღრული კულტურის გენეზის. უნივერსიტეტმა ვერ შეძლო დაეცვა და შეენახა დარგი, რომელიც სწორედ მის კედლებს შორის უნდა განვითარებულიყო; ვერ შეძლო, რადგან იგი ვერ განაგებდა საკუთარ თავს, თუმცა სწორედ იმხანად უნივერსიტეტში ჯერ კიდევ მოღვაწეობდა მის დამარსებელთა თაობა და ცოცხლად ატარებდა იმ პრინციპებს, რასაც უნივერსიტეტი დაეფუძნა.

იმ პირობებში ძველი აღმოსავლეთის (ასირიოლოგიური) განყოფილებისთვის არავინ გამოიდებდა თავს. დღეს ჩვენი ვალია გამვიდოთ თავი, რათა მესამე ცდა ამ დარგის დაფუძნებისა უნივერსიტეტში წარმატებით დაგვირგვინდეს. დროა, აღდგეს სამართლიანობა და იმ კათედრამ, რომლის დასაბამში იგანე ჯავახიშვილისა და მიხეილ წერეთლის დიდებული სახელები ებმაჟრებიან ერთმანეთს, დაიკავის თავისი კუთვნილი და დირსეული აღგილი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა შორის. თავისუფალი უნივერსიტეტის საზღვრებში მიღებული დეკლარაციით არის დადასტურებული (და რაც ასახვას ჰპოვებს უნივერსიტეტის მომავალ კონსტიტუციაში), შეუძლია ეს გადაწყვიტოს თავისი საკუთარი უფლებამოსილებით, სამეცნიერო-კულტურული ინტერესებიდან გამომდინარე.

ძველი ახლო აღმოსავლეთის (ასირიოლოგის) განყოფილება თუ კათედრა მე მესახება ისეთ მთლიან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად, სადაც კვლავ ერთიანობაში მოექცევა ერთმანეთისაგან საბედისწეროდ გათიშული დისციპლინები, რომელთა განწვალება-დაქუცმაცება სხვადასხვა განყოფილებებზე და მთუმეტეს, ფაკულტეტზე, გაუმართლებელია საზოგადოდ და საზიანოა, კერძოდ, ისეთი სამყაროსთვის, როგორიც არის ლურსმული ცივილიზაცია. ასეთ ერთიან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში თანაბარი სიღრმითა და მოცულობით უნდა ისწავლებოდეს ენა და ამ ენაზე შექმნილი მრავალფეროვანი ლიტერატურა, ისტორიასთან, რელიგიასთან, ხელოვნებასთან ერთად. ის, რაც მთლიანია სინამდვილეში, არც მეცნიერებაში უნდა დაქუცმაცდეს. ასირიოლოგია იმთავითვე ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი ჰუმანიტარული დისციპლინა, რომლის ნებისმიერი პრობლემა სწავლულისგან მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს.

სხვაგან სად უნდა ვიგულოთ ასირიოლოგიური განყოფილება, თუ არა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც სწორედ ამგვარი მთლიანობის ტრადიციაზე შეიქმნა თავის დროზე. მისი მესვეურნი ფართე განათლებისა და მრავალმხრივი ორიენტაციის ჰუმანიტარები იყვნენ.

არა მგონია, თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც იგანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, ესაჭიროებოდეს აპოლოგია ძველი აღმოსავლეთის კულტურის სწავლების ახალ, მყარ ნიადაგზე დაექნების აუცილებლობას. დროა, ჩვენს სწავლულებს, რომლებიც წარმატებით იკალევენ ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებს (შუმერულს, აქადურს, ხეთურს, ხურიტულს, ურარტულს, ეგვიპტურს) და მათზე მოღაპარაკე ხალხების ისტორიასა და კულტურას, მიეცეთ საშუალება შეუთავსონ თავიანთი მყუდრო მუშაობა უნივერსიტეტის აუდიტორიებს, სადაც მათ არამცირები მსმენელი ეყოლებათ.